№ 91

კვირა, 30 აპრილი 1895

1877—1895

# ივერია

№ 91

კვირა, 30 აპრილი 1895

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 70 |
| 9 | 8 — | 3 | 3 55 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ივერიის რედაქციისაგან.

მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, სოფლის მასწავლებელთ გარდა, რომ, ვისაც ხუთი მანეთი აქვს წარმოდგენილი გაზეთის ფასად, პირველს მაისამდე კიდევ უნდა წარმოადგინოს ფული, თუ სულ არა, რამდენიმე მაინც.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**
**ვ. ი. ჭიჭინაძისა და ქ-ნის ძს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9— და საღამოს 4—7 საათამდე.

1895

„მოამბე“

თვიური ჟურნალი
(წელიწადი მეორე)

გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში იმავე პროგრამით.

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში | 10 მან. | 6 მან. | 4 მან. |
| საზღვარ გარედ | 13 მან. | 7 მან. | 5 მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 აპრილამდე—3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13.

ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція «**Моамбе**».

## შემოწირულება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ გასამართ ლატარია-ალეგრის შემოსწირეს:

ანნა ვახტანგის ასულმა ბეჟანბეგოვისამ და მისმა ქალიშვილმა ანასტასია ნიკოლოზის ასულმა—შვიდი სხვა-და-სხვა ნივთი.

ანნა მათეს ასულმა ჩაჩიბაიამ—ლამაზად ნაკერი მუთაქა.

## ტფილისი, 30 აპრილი.

ჩვენი საპატიმროები რომ ძალიან ცუდად არის მოწყობილი, ეს დიდის ხნით ცნობილი ჭეშმარიტებაა და ამ მხრივ ეჭვიც არავისა აქვს. უვარგისობა ამ მოწყობილებისა იმაში მდგომარეობს, რომ პატიმრები დანაშაულის კვალობაზედ არ არიან დანაწილებულნი, თვით საპატიმროები ნესტიანია და ასნეულებს, აავადმყოფებს ტუსაღებს, რის შედეგიც ის არის, რომ სიკვდილი პატიმართა შორის დიდად გავრცელებულია. უფრო უარესი ნაკლი ჩვენის საპატიმროებისა ის არის, რომ მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის ცალკე განყოფილება არ არის და ისინი თავიდგან ხელ-აღებულ, რამდენჯერმე დასჯილ ავაზაკებთან ერთად არიან დამწყვდეულნი. წარმოიდგინეთ, ცამეტ-თოთხმეტის წლის ბავშვი, რომელმაც იქნება რა მიზეზით, რა შეცდომით ჩაიდინა რაიმე უბრალო დანაშაული, დაპატიმრება გადაუწყვიტა სასამართლომ და თავი უკრეს ავაზაკთა სამყოფელოში!.. ადვილად მისახვედრია, რომ აქ გულ-უბრყვილო ბავშვი, ავაზაკთა, ქურდთა, კაცის-მკვლელთა შორის ჩავარდნილი, ზნეობით სრულიად იხრწნება, ათასს ავს ხასიათსა და ზნეს ითვისებს და ქურდობის ხელობას ისე შეისწავლის ხოლმე, რომ იქიდგან გამოსვლისას, განთავისუფლებისას მისი მორჯულება, მისი მოადამიანება ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ხშირია ისეთი მაგალითი, რომ ერთხელ საპატიმროში რაიმე საქმისათვის ნამყოფი ჭაბუკი შემდეგ ავაზაკობის ხელობას დაადგება ხოლმე და დღეს თუ ხვალ იმისი ბოლო მაინც იგივე საპატიმროა და ხშირად ციმბირი და სარჩობელაც.

ეს ნაკლი საერთოდ რუსეთის საპატიმროებისა დიდი ხანია შემჩნეულია და კანონ-მდებლობა სცდილობს კიდეც როგორმე აიცილოს იგი და მცირე წლოვანი დამნაშავენი ააშოროს საპატიმროებში სამუდამოდ სიმართლის გზას გადაცდენილ, სულით ხორცამდე წამხდარ ავაზაკებთან ყოფნას, ადამიანის ბუნების მომწამვლელსა და მომშხამველს ჰაერს. ამ აზრით რუსეთში დამნაშავე ბავშვთა რამდენიმე თავ-შესაფარია გამართული, სადაც გზას გადაცდენილ, ზნეობით გადუხჭირებულ ბავშვებს ერთად უყრიან თავს და ასწავლიან, შრომას აჩვევენ და აყვარებენ, გულითა და სულით ასპეტაკებენ, ზნეობას უკეთილშობილებენ. გამოცდილებამ უკვე დაარწმუნა მთავრობა, რომ ასეთს თავ-შესაფარს ფრიად კეთილი ნაყოფი მოაქვს, იშვიათად რომ ამ თავ-შესაფარში აღზრდილ-გამოვლილი მცირე-წლოვანი ისევ დანაშაულის გზას დაადგეს და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, ფრიად სასურველია და სასარგებლო, რომ ყველგან ასეთი თავ-შესაფარი იყოს დაარსებული მცირე-წლოვან დამნაშავეთათვის.

ჩვენში ასეთი თავ-შესაფარი სულ არ არსებობს, თუმცა დიდი ხანია სურვილი ტრიალებს მისის დაარსებისა. ჯერ ამ ოთხის წლის წინადვე, 1891 წელს, ტფილისის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარემ ს. ს. გონჩაროვმა და პატივცემულმა ილია ივანეს ძე წინამძღვრიშვილმა გულს ჩაინერგეს კეთილი განზრახვა ჩვენში ასეთის თავშესაფარის დაარსებისა, შეადგინეს კიდეც წესდება, რომელიც უმაღლესმა მთავრობამ ძალიან მოიწონა და შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა იგი 1891 წელს 20 ნოემბერს. წესდებით, „კავკასიის ზნეობის გამასწორებელ სამიწად-მოქმედო-სახელოსნო თავშესაფარს“ აზრად აქვს დახმარება გაუწიოს მცირე-წლოვან დამნაშავეთა, მაწანწალათა და მათხოვართა სარწმუნოებრივ-ზნეობრივსა და გონებრივს განათლებას, ყველა იმათ, რომელთაც-კი რაიმე დანაშაულობის გამო სასჯელი აქვთ მისჯილი სასამართლოს მიერ მთელს ჩვენს ქვეყანაში. საზოგადოების წევრობა ყველას შეუძლიან, სქესისა, სარწმუნოებისა და წოდების განურჩევლად და რიცხვის განუსაზღვრელად. წევრებს ეწოდებათ: საპატიო, ვინც საზოგადოებას საკმაოდ დიდს ფულს შესწირავს; სიკვდილამდე წევრი, ვინც ერთბაშად 100 მ. შეიტანს; ნამდვილი, ვინც ყოველ წელიწადს 5 მან. წარადგენს, და წევრი - დამხმარებელი, — შეუძლიან ამაზედ ნაკლების ფულის შეტანაც

ამ საზოგადოების საქმე დღევანდლამდე მიძინებული იყო, რადგან საზოგადოებას იმდენი შეძლება და თანხა არა ჰქონდა, რომ მოქმედება დაეწყო. ბ-ნთ ოლქის სასამართლოს თავმჯდომარისა ფ. ა. ბიკოვისა და ილია ივანეს ძის წინამძღვრიშვილის მხნეობითა და გულ-მოდგინეობით მოჰკიდეს ამ საქმეს ხელი და ამ სამ-ოთხს წელიწადში თანხა შეჰკრიბეს 30,000 მან. ამ აპრილის თვეში თავმჯდომარე „კავკასიის ზნეობის გამასწორებელ სამიწად-მოქმედო სახელოსნო თავ-შესაფარის საზოგადოებისა“ ფ. ა. ბიკოვი და მმართველობის წევრნი მომრიგებელ-მოსამართლე ი. ი. წინამძღვრიშვილი და ნაფიცი ვექილი კ. ნ. რეიტერი წავიდნენ ოქროყანაში, სადაც დაათვალიერეს ა. ი. პოლტარაცკის მამული თავ-შესაფარისათვის. თან ჰყავდათ სამეურნეო ინსპექტორი ვ. ნ. გეევსკი, აგრონომი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ხუროთ მოძღვარი კ. ი. ტატიშჩევი. რამდენადაც გვაუწყეს, ბ-ნ პოლტარაცკის მამული ძალიან მოსწონებიათ და თავ-შესაფარისათვის გამოსადეგად უცნიათ.

დღეს, კვირას, 30 აპრილს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ოლქის სასამართლოს სადგომში დანიშნულია კრება ამ საზოგადოების წევრთა. მმართველობა აუწყებს საზოგადო კრებას, რა მდგომარეობაშია თავ-შესაფარის დაარსების საქმე. რასაკვირველია, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადგილობრივი საზოგადოება სრულის თანაგრძნობით მიეგებება ამ ახალს დაწესებულებას, რომელსაც ისეთი კეთილი და სასარგებლო საქ-

---

# ფელეტონი

**ბიბლიოგრაფია.**

„თხზულებანი თ. რ. ერისთავისა ტომი პირველი. გამოცემა ქართველთა ამხანაგობისა. ტფილისი 1894 წელსა“.

„მღერალო ტკბილო,
მამულის შვილო,
ამაღლებულო სულით ზეცამდე,
იყავ კურთხეულ,
არ დავიწყებულ
ამიერიდგან უკუნისამდე“.

აკაკი.

(დასასრული*)

არა ნაკლებ სამწუხაროა „ხიზანი-გლეხის“ მდგომარეობა. მებატონე გლეხს „ნადელს“ ვერ გაუყიდის, და ხიზანი დროებით მცხოვრებია ნაქირავებს მიწაზედ. მებატონეს შეუძლია „ხიზანი“ დაითხოვოს, როდესაც-კი მოისურვებს... ჩვენს საზოგადოებაში ამ ბოლო დროს ბევრს სწერენ და სჯიან „ხიზნების“ შესახებ. არც „ხიზანი-გლეხების“ მდგომარეობა დარჩა შეუმჩნეველი გამჭრიახს ნიჭს რაფაელისას. აი, რას ეუბნება მოხუცი „ხიზანი“ ახალგაზდა მებატონეს, რომელსაც ჰსურს დაითხოვოს თავისს მიწა-წყლიდგან მის პაპასთან შემოხიზნული გლეხი:

კაცო, რად მითხოვ, აქედგან,
ნეტა რა დაგიშავე?!..
ხარჯს ვიძლეოდი რიგიანს,
არ დამიგდია ბეგარა...
მე არ გიხნავდი ხოდაბუნს,
გიმკიდი, შეშას გზიდავდი,
გმღვნობდი, გამლევდი ღალასა,
კენახში კაზსა გწიდნავდი?!..
მენა აქა მაქვს სახლ-კარი,
ფუძე, აქა ვარ ჩვეული!..
სადღა წავიდე ბედ-კრული,
როგორც თიკანი კული?! (გვ. 220).

საზოგადოდ ძლიერ ძნელია და აუტანელი თითოეულის გლეხის მდგომარეობა. რაფაელი სესია-გლეხს გამოათქმევინებს ამ მდგომარეობას:

„მიწის პატრონიც მე მწიწკნის, ჭინჭველაც ჩემი მტერია,
მოხელე, მღვდელი და ერი—ყველა მე შემომცქერია!
ნეტავი გამაგებინა, როდის-ღა მომასვენებენ?!
ვერ შევესწრები, მგონია, სანამ არ წამასვენებენ“. (გვ. 189).

რაფაელი გვიხატავს მასაც, თუ რა ძალას შეადგენს გლეხისთვის „პირუტყვი ხარი“, რომელთან ერთად მას ბედმა „არგუნა შავი მიწა“ და „ძნელი უღელი“... მეტის-მეტად ნაღვლობს გლეხი, როცა მას ხარი უკვდება; ხარის სიკვდილს გლეხი შვილის და ცოლის სიკვდილზედ უფრო ჰგლოვობს... აი, როგორ სტირის ერთი გლეხი თავისის ხარის „გიშერას“ სიკვდილსა:

„შენი ჭირიმე, გიშერავ!.. ჭირიმე შენის ქედისა!..
მომიკვდა ხარი გიშერა... მოკვდა, გამიწყრა ღმერთია!..

ჰგლოვობს ხარის სიკვდილს იმიტომ, რომ ის მას შველოდა ხვნა-თესვაში და ცხოვრების სალსარს აძლევდა:

„რიღათი მოვხნა ნაწრეტი, რით ავიცილო შიმშილი,
რიღით გავუძღვე ქვეყანას, რიღით გავრჩინო ცოლ-შვილი“?!.

ასეთი დამეგობრება გლეხისა და ხარისა, 1863 წელს, რაფაელზედ ადრე ხომ მშვენივრად დაგვიხატა ილია ჭავჭავაძემ თავისს ლექსში: „გუთნის დედა“, რომელშიაც გლეხი ეუბნება ხარსა:

„ერთგულად გვშიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტო-ბელტოზედ გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვიმოთ...
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს“!

გულ-დაჩაგრულს გლეხს ძლიერ უხარია, როცა კარგს მოსავალს ჰხედავს... არა ჰშურს თავისი ნაჭირნახულევი მას სხვისთვის. რაფაელი ერთს გლეხს ალაპარაკებს „პურის მოსავლის“ დროსა:

„ყველას ეყვის ჯარს, ჯამაათს,
მკურთხება მკვდარს სათვლავი...
ჯალაბობაც გამოძღება.... (გვ. 163).

მუდამ მტირალი გლეხი თავისს ბედს მაინც არ ემდურის; მისს ცხოვრებაში ხშირად ისეთი წამებიც არიან, როდესაც ის სიამოვნების თავდავიწყებას ეძლევა, ივიწყებს-რა თავისს შავ-ბედს, და კმაყოფილია თავისის ხვედრითა, სანამ გაიხსენებდეს „მწარე სინამდვილეს“... რაფაელი ერთს გლეხზედ ამბობს:

„მაშვრალი დაჯდა დერეფანშია,
გვერდით მოიდო მჭრელი ნამგალი,
ამაყობს ცოლით, ამაყობს შვილით,
ამაყობს, რომ აქვს ბევრი ნამგალი“.
(გვ. 176).

გლეხს ცხოვრების ეკლიანს გზაზედ ამხნევებს მხურვალე სარწმუნოება ღვთისა და სასოება მასზედ. სარწმუნოებითა და სასოებით გამხნევებულს გლეხს გული არ უტყდება:

„ვცხოვრობ —ამბობს ერთი გლეხი,
—ბეჩავი, ღვთის მადლით,
არ გამტეხია გულია;
ნუ გეგონებათ, შევშინდე
ჯაფისგან მოქანცულია“.

თანაც გლეხი ამაყობს იმითი, რომ ის გლეხად, ქვეყნის მარჩენელად დაბადებულა; აი, რას ამბობს ერთი გლეხი:

„რას შემომცქერი, მმობილო,
ოფლში კარ გაწუწულია?!.
ნუ გიკვირს შენა, ჯაფაში
არ გამტეხია გულია.
რაც ვიყავ, ისევ ისა ვარ,
მიდგას მე კარგი ყანები;
გლეხად დამბადა უფალმან—
იმას-კი ვეთაყვანები!“ (გვ. 226).

რაც უნდა ცუდი მოსავალი მოუვიდეს გლეხს, ის მაინც გულს არ იტეხს და ამბობს:

„სჯობს ისევ გარჯა, მხნეობა;
ფუჭად რას ვუსხდეთ კერასა“?!
(გვ. 225).

ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს განხილვა ყველა იმ ლექსებისა, რომლებიც რაფაელ ერისთავმა უძღვნა გლეხს და მისს ცხოვრებას; საზოგადოდ-კი უნდა ვსთქვათ, რომ მას არ დარჩენია არც ერთი მხარე გლეხის ცხოვრებისა, რომ არ შეჰხებოდეს თავისს ლექსებში ასე თუ ისე. იმან დაგვიხატა სრული სურათი გლეხთა ცხოვრებისა. რაფაელის ლექსებს არა ერთისა და ორის ქართველისათვის

*) იხ. „ივერია“ № 90.

მე ამოურჩევია სამოქმედოდ და ასპარეზად. ამ „საზოგადოების“ წინამძღოლთა და მეთაურთა ვინაობა და ღვაწლი ექვსაც არა ჰბადავს, რომ საზოგადოება სრულიად წესიერად და კარგად იქმნება წარმართული. კავკასიის საპატიმროებში ამ ჟამად ორასამდე მცირე-წლოვანი დამნაშავეა დაპატიმრებული, წლოვანებით 12-დგან 18 წლამდე, რომელთა თავ-შესაფარში მოთავსება და გადაყვანა ისეთი სიკეთე და მადლია, რომ ამ მადლის კეთილი ნაყოფი და შედეგი ეხლავეც-კი ადვილად წარმოსადგენი და გასათვალისწინებელია. დროა გადავარჩინოთ ეს საბრალონი ჩვენებურ საპატიმროების ზნეობის გამათახსირებელს ჰაერს და იმ ადამიანებთან ერთად ყოფნას, რომელთაც უკუღმართი ცხოვრება, ავაზაკობა და დანაშაულის ჩადენა ძვალსა და რბილში აქვთ გამჯდარი! დროა, რომ ერთი ახალგაზდა მაინც, რომელიც ჭეშმარიტების გზას გადამცდარა და იქნება საზოგადო წეს-წყობილებისა და ვითარების მიზეზითვე დანაშაული ჩაუდენია, დავიხსნათ საუკუნოდ დაღუპვისაგან და საზოგადოების სასარგებლო წევრი გავხადოთ!

საზოგადოებამ ასეთის სასარგებლო საქმისათვის თავისი წვლილი არ უნდა დაიშუროს და ვალდებულია, რომ ზნეობრივადაცა და ქონებრივადაც სრული დახმარება გაუწიოს იმათ, რომელთაც კისრად უდვიათ ეს ყოვლად პატივსაცემი და თანასაგრძნობი საქმე ზნეობა-წამხდარ ბავშვთა საკეთილოდ გამობრუნებისა, ზნეობით განსპეტაკებისა და გაკეთილშობილებისა.

ა. ახნაზაროვი

## ახალი სხივი სწავლა-განათლებაში.

ბევრს ილვწიან დაწინაურებული პირები, რომ გაანათლონ ხალხი, გახადონ იგი მოზიარე კაცობრიობის უკეთესთა აზრებისა, ერთი სიტყვით, ლიტერატურისა, მაგრამ ამაოდ! ასე უკუღმართად არის მოწყობილი დღეს მთელი ქვეყნის სწავლა-განათლების საქმე, რომ იგი ამ ლიტერატურას კაცობრიობის უკეთესთა შვილთა უკეთესთა აზრებს და ღვაწლს-კი არ აცნობებს თვისს მოწაფეებს, არამედ —ერთ რაღაც უხამს, მშრალს და ნაკუწ-მაკუწებისაგან შედგენილს წიგნებსა, რომლებსაც ქართულად სასწავლო წიგნი ეწოდება და რუსულად „უჩებნიკი.“ ამ „უჩებნიკმა“ დაიმონა მთელის ქვეყნის მოზარდი თაობის გონების იარაღი და მალე თვით ცხოვრებას და მის პროგრესსაც დაიმონებს, თუ დროზედ ხსნის ფარს არ აუფარებთ მას! ეს ფარი— გამდიდრებაა სამოწაფო და სახალხო ლიტერატურისა, შექმნაა ჩვენს ენაზედაც მთელი წყობა წიგნებისა ყველა სასწავლო და სამეცნიერო საგნებიდგან, ცხოვრების ყველა დარგიდამ!

ჩვენ გვრწამს, რომ მიღება წიგნების კითხვით სწავლა-განათლებისა ადრე თუ გვიან ფესვს გაიდგამს მთელს ქვეყანაზედ და რაღა თქმა უნდა ჩვენშიაც და ამიტომ ყველა შეგნებულ მამულის-შვილის ვალია, ამ ახალს ნიშანს და წყაროს კაცობრიობის წინ-სვლისას, ყურადღება მიაქციოს, თვის საზოგადო მოქმედების და მისწრაფების მფარველობის ქვეშ მიიღოს იგი და ყოველის საშუალებით ილონოს, რომ ამ ახალს სხივს სწავლა-განათლებისას მოუმზადებელი არ დახვდეს ჩვენი ქვეყანა და, თუ შეიძლება, ეხლავე საქმედ ვაქციოთ, სადიდებლად ჩვენდა და სამაგალითოდ სხვათა...

დღეს ისეთ აღმატებითს ხარისხამდეა მისული ტეხნიკა ძერა-კითხვის შესწავლისა და მის შემწეობით ეგრედ წოდებულ თვით-სწავლისა, რომ მათის წყალობით ბევრს განათლებულს ქვეყნებში საგლეხო უნივერსიტეტებიც-კი დააარსეს, როგორც მაგალითად დანიაში, სადაც ორიოდე მილიონ მცხოვრებზედ 70-ზე მეტი საგლეხო უნივერსიტეტია! დიაღ, იმას მოგახსენებდით, რომ თვით-სწავლის, თვით-განვითარების წეს-რიგი და საშუალება იმდენად გაადვილებულია დღეს, რომ თითქმის ყველას, სულ უბრალო დღიურს მუშასაც-კი, ადვილად შეუძლიან თვით უმაღლეს სწავლა-განათლებასაც მისწვდეს, თუ კი გულით და სულით მოისურვებს ამას. ხოლო, ვინ არ მოისურვებს ამას, თუ-კი გზა და საშუალებაა ამისთვის!? გზა და საშუალებაც —შექმნაა ჩვენს ენაზედ მთელი წყობა წიგნებისა ყველა სასწავლო და სამეცნიერო საგნიდგან, რასაკვირველია, ცოცხლად და ადვილ-გასაგების ენით დაწერილები და უხვად დასურათებულები...

დღეს ჩვენ გვსურს შევუდგეთ ამ საქმეს და იმედი გვაქვს, რომ არც ერთი შეგნებული ქართველი არ დაიშურებს თავისს წვლილს და რომას განსახორციელებლად აღნიშნულის აზრისა! ვაპირებთ გამოვცეთ შეუყენებლად თვეში არა ნაკლებ ორის წიგნისა, რომელთაგან ერთი დანიშნული იქნება პატარებისათვის, ხოლო მეორე უფრო დიდებისათვის და ხალხისათვის. სიდიდე წიგნებისა იქნება არა უმეტეს 10—20 გვერდისა პატარათათვის და 2ძ—40 გვერდი--დიდებისთვის. ყოველი წიგნი დაბეჭდილი იქნება უკეთესს ქაღალდზე, სხვილის ასოებით და როგორც ვსთქვით, უხვად დასურათებული. გამოცემისა და ხელის მოწერის დღეს თავისს დროზედ გამოვაცხადებთ. ვეცდებით, რომ წლიური ხელის მოწერის ფასი, რაც შეიძლება იაფი და ყველასათვის ხელმისაწდომი იყოს. ყველა დაბეჭდილს წიგნზედ მთხზველს და შემდგენელს მიეცემა სტრიქონზედ გადაკვეთილი ფასი...

მოგვყავს აქავე დაახლოებითი პროგრამა განზრახულ გიმოცემებისა.

ადვილ-შესასწავლი ანბანი, ცალცალკე გამოცემული ზღაპრები, მოთხრობები და წიგნები საღმრთო წერილიდამ, ბუნების-მეტყველებიდამ ჩვენი და მსოფლიო ისტორიიდამ, ჩვენი და მსოფლიო გეოგრაფიიდამ, ასტრონომიიდამ, გეოლოგიიდამ, სამეურნეო საგნებიდამ, პოლიტიკურ ეკონომიიდამ, სამკურნალოდამ, ჰიგიენიდგან და სხვ.

ჩვენის ქვეყნის და სოფლიო გეოგრაფიის შესახებ წიგნებს გამოვცემთ შემდეგის სახით: 1) საქართველო (საზოგადო აღწერა); 2) ქართლი; 3) კახეთი; 4) იმერეთი; 5) გურია; 6) სამეგრელო; 7) სამცხე-ჯავახეთ-არტაანი; 8) ჭოროხის საქართველო; 9) სვანეთი; 10) კავკასიის დიდი მთები თავისს მცხოვრებლებით; 11) შავი ზღვა; 12) კასპის ზღვა; 13 რუსეთი; 14) სპარსეთი; 15) ოსმალეთი; 16) ციმბირი; 17) იაპონია; 18) ჩინეთი; 19) გერმანია; 20) ავსტრია; 21) საფრანგეთი; 22) ინგლისი და სხვა... ყველა მხრის გეოგრაფიულს აღწერას წარუძღვება მოკლე ისტორია ისტორიულ სურათებით. მას მოჰყვება თვითონ გეოგრაფიული აღწერა, ე. ი. აღწერა ადგილ-მდებარეობისა, მთებისა, მდინარეებისა, ტყეებისა, ველებისა და მცხოვრებლებისა მათის მოქმედებით, მდგომარეობით, რიცხვით, სჯულით, ხალხოსნობით და სხვა. ყველა მხრის აღწერას ექნება თავისი რუკა და სურათები უფრო შესანიშნავ ადგილებისა—მთებისა, დაბა-ქალაქებისა, ხალხთა წარმომადგენელთა, ცხოველთა, მცენარეთა და მისთანათა.

საისტორიო წიგნებს შევუკავშირებთ შესანიშნავ მოვლენათ ერთა და კაცობრიობის ცხოვრებაში მომხდართა და სადაც ეს შესაძლებელი იქნება—წარჩინებულ მოღვაწეთა ცხოვრების აღწერას, როგორც, მაგალითად: 1) ქართველები და საქართველო ისტორიის წინა-დროებში; 2) საქართველოს სამეფოს დაფუძნება და ფარნავაზ პირველი მეფე საქართველოსი; 3) საქართველო ფარნავაზის შემდეგ მირიან მეფემდის; 4) ქრისტიანობის შემოღება საქართველოში და მირიან მეფე და სხ. აგრეთვე სოფლიო ისტორიიდგან, საღმრთო წერილიდგან და სჯულიდგან. გამოვცემთ იმისთანა წიგნებს, რომლებიც გახსნიან და განასპეტაკებენ ყმაწვილისა და ხალხის გრძნობას, ხასიათს და განავითარებენ მათს საზოგადო რწმუნებას და შეხედულებას ცხოვრებაზედ და ბუნებაზედ, მაგალითად: 1) შობა და სიყმაწვილე იესო ქრისტესი; 2) იოანე ნათლისმცემელი და იესო ქრისტე; 3) იესო ქრისტე და მისი მოწაფენი; 4) შესანიშნავნი იგავნი იესო ქრისტესი; 5) უმთავრესნი სწავლანი იესო ქრისტესი და სხვა, შედგენილები თვით სახარებიდგან ადვილგასაგებ ენით და დასურათებულები...

დაწვრილებითი პროგრამა თავის დროზედ გამოიცემა ცალკე წიგნად სახელმძღვანელოდ ყველა იმათა, ვინც მოისურვებს აღნიშნულ საგანს თავისი ცოდნა და შრომა შესწიროს.

დასასრულ, მივმართავ ჩვენის ქვეყნის ქონებით შეძლებულს პირებს და ვსთხოვ ამხანაგად გაგვიხდნენ დაწყებულს სიქმეში, ე. ი. იკისრონ გამომცემლობა განზრახულ წიგნებისა. ეს იქნება უკეთესი ასპარეზი ჩვენის გონებითისა და ნივთიერ ქონების უკეთესად მოხმარებისათვის. იმედი ვიქონიოთ, რომ არც ჩვენი ხალხი დაგვტოვებს ჩვენ უყურადღებოდ... გამომცემლად შეიძლება ერთი პირიც იყოს და რამდენიმეც... ჩემი ადრესი: ტფილისი, სალდათის ქუჩა, №7.

ივანე პავლეს-ძე როსტომაშვილი.

## მოგონება.

ახლაც წინ მიძევს კნ. ბარბარე ჯორჯაძის სურათი და თვალ-ცრემლიანი ვიგონებ ჩვენს ტკბილს საუბარს ლენქორანში ყოფნის დროს. ოც-და-ოთხი საათი კაცი რომ იმასთან ყოფილიყო, მაინც ვერ გაძღებოდა იმის გონივრულის მსჯელობით და იმდენი სალაპარაკო მასალა ჰქონდა, რომ ყოველს ნამდვილს განათლებულს კაცს მოეწონებოდა. მშვენიერის ქართულის ენით და დიდის მეხსიერებით შეჰქუსვილს ქართველს ქალს ზედ მიწევნით ახსოვდა შამილის კახეთში შესევა და იმათ სოფელ გრემის აოხრება; როდესაც ზარბაზნების ხმა მოისმა და სოფელში შევიდა შამილი, დიდი ჟღივილხივილი ასტყდა თურმე სოფელში, მაგრამ კნ. ბარბარე-კი არ შეშინდა, სასწრაფოდ, რა ბარგის წაღებაც ცველადაც. ქართველს ყველგან და ყოველს დროს უყვარდა თავისი დედა-ენა; სიკვდილს არჩევდა ქართველი დედა-ენის უარ-ყოფას. ერთი ქართველი ტყვე აი, რას ეუბნება ყეენს:

„თვალი მომთხარე...... მომჭერ
ფეხი და მკლავაი,
მაგრამ...უენო, შენის შვილების ლხენასა,
........დღეს შენ ნუ მომჭრი ენასა!
მინდა მოკითხვა შევთვალო, ვილაპარაკო ქართული,
ვადიდო იესო ქრისტე, სჯული ენასთან შერთული“. (გვ. 171).

რაფაელ ერისთავმა ბევრი რამ შესძინა „საბავშვო ლიტერატურას. მისს საყმაწვილო ლექსებში გამოხატულია საქართველოს ბუნება, ქართველის ერის ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი და ამისათვის ამ ლექსებს ჩვენი მოზარდი თაობა დიდის აღტაცებით სწავლობს. რაფაელი ურჩევს ქართველს ყმაწვილებს ერიდონ სიზარმაცეს და შეიყვარონ ბეჯითობა:

„წამოდექით, ყმაწვილებო,
თქვენც ახსენეთ ღვთის სახელი,
ზარმაცები ღმერთს არ უყვარს,
წიგნს მოჰკიდეთ აბა ხელი!.....“

რაფაელს ჰსურს, რომ სვენს მოზარდ თაობას ტყუილ-უბრალოდ, უნაყოფოდ დროს არ აკარგვინებდნენ ბერძნულ-ლათინურის შესწავლაში, რო-

---

ჩაუნერგავს გულში მტკიცე სურვილი ემსახუროს გლეხების, ამ მრავალ-წამებულის იობების, ცხოვრების განკარგებას. რაფაელის გლეხი სწორედ ღირსია შებრალებისა! ერთ ნაკლულევანებად რაფაელის გლეხთა შესახებ ლექსებს უნდა ჩაეთვალოს ის გარემოება, რომ ამ ლექსებში არაა ნაჩვენები თით-დადებული ის იარაღი, ის საშუალება, რომლის შემწეობით გლეხს შეუძლია თავი დააღწიოს თავისს სავალალო მდგომარეობას და ცოტად თუ ბევრად განიკარგოს თავისი „შავ-ბედი“. რაფაელის თითქმის თითოეული გლეხი მხოლოდ სტირის, წუწუნებს, ჰგლოვობს თავისს შავ-ბედს, თავისს სავალალო მდგომარეობას, და, როცა რამე უბედურება ეწვევა, ისე მოიქცევა, როგორც თედუა გლეხი, რომელსაც სეტყვამ ჭირნახული გაუფუჭა და რომელსაც სეტყვის გადაღების შემდეგ:

„ცრემლი მოადგა თვალშია“

და შემდეგ-კი:

„ჰირჯვარი გადაიწერა“.

ჩვენს წარსულში გლეხი ასეთი არ იყო, როგორც ბრძანებს რაფაელი; ის ძველად შეგნებულად ეომებოდა თვისის ჯულის, ენისა და თავისუფლების მტერსა... მისი შთამომავალიკი დღეს ძლიერ დაძაბუნებულია, მოკლებულია აქტიურს ძალას, თუმცა ბატონ-ყმობა აღარ არსებობს. თუ რა არის აწინდელის ქართველ გლეხის დაძაბუნების მიზეზი, ამას თვით მკითხველი მიხვდეს. გლეხი რაფაელისა ისეთი გამბედავი, რიხიანი, თვისის ადამიანურის ღირსების მცნობი არაა, როგორსაც ვხედავთ ილ. ჭავჭავაძის ნაწერებში. რაფაელის გლეხი ვერასოდეს ვერ ეტყვის მებატონეს იმას, რასაც ეტყვის ი. ჭავჭავაძის გლეხი:

„ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!“

ვერც ისე ეტყვის მეორე გლეხს, როგორც კაკო ბლაჭიაშვილი ეუბნება მხედარს—გლეხსა

„ფუ, შენს ნამუსსა, მამაშვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!—
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხმლით არ აკუწე—
სულ-წაწყმედილი შენი ბატონი!..
შენ დედაკაცად დაბადებულხარ,
ფუ, მაგ კაცობას!...“

რაფაელის გლეხი ვერც იმას იქმს, რაც ჩაიდინა ილია ჭავჭავაძის გლეხმა, როდესაც მისს ღვიძლს მამას სცემდა მებატონე:

„ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი—
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამღუპველსა,
თავის თავის და სხვის წამწყმედელსა!“

(იხ. „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდგან“).

რაფ. ერისთავი არ ივიწყებს ჩვენის სამშობლოს ცხოვრებიდგან დიდებულს წარსულსაც; ის ეუბნება ყმაწვილსა:

„ქართველს ემზგავსე დიდებით,
შენს წინა პაპსაო“. (გვ. 18)

განსაკუთრებით მას ჰხიბლავს დრო მეფის ირაკლისა, რომლის ვაჟკაცობას აღტაცებაში მოჰყავდა მთელი ევროპა და აზია... ის იყო რაფაელის სიტყვით:

გულადი, შეუპოვარი,
ნამდვილი მეფე ყმათათვის, სიკეთის დამხსნოვარი,
მის ხელში ყველა ხაროდა: მოხუცი, ძუძუ-მწოვარი,
არვისთვის შურდა ნაშოვნი, არც მამის დანატოვარი...

რაფაელი მშვენივრად აღწერს ასპინძის ომს 1770 წელსა, როდესაც ირაკლიმ და ქართველობამ დაამტკიცეს თვისი სამხედრო გენიოსობა! ძველად ყველას ერთნაირად შესტკიოდა გული მამულისთვის: თავადს, აზნაურს და გლეხს. რაფაელი აღწერს რა „ასპინძის ომში“ ქართველთა მხედრობას, ამბობს:

„ვინ ვის სჯობია ამათში, აზნაური თუ გლეხია,
თავადიშვილი, თუ გლეხი, ყველა მტრისათვის მეხია! (გვ. 127)

გლეხიც იღებდა მონაწილეობას სამშობლოს ბედ-იღბალში. ნადირ შაჰის დროს მოხუცი გლეხი ეუბნება საგარეჯოს მოურავს, გამყიდველს მამულისას და მოძმისას:

„ნუ აბეზღებ ქართველებსა!
ის არა სჯობს, რომ სამართლით ხალხს ამო, პური სჭამო?!
მოურავი გლეხის რჩევას, ჩაუფიქრდა, არ გამწყრალა.
გულში მოხვდა ყველა სიტყვა.........
შეუძახა ბერიკაცსა: „დაგიჯერებ, ბარაქალა....“! (გვ. 206).

საზოგადოდ-კი უწინდელი ქართველები, რაფაელის აზრით:

„იბრძოდნენ მამულისათვის, სჯულისთვის,
ეწამებდნენ ქრისტესთვის, თავისუფლების გულისთვის“.

და ყოველის ომის დროს იძახოდნენ:

„გავსწყდეთ, ძმებო, სჯულისათვის,
მამულისთვის სისხლი ვსთხიოთ“!
(166 გვ.)

ჩვენი წინაპრები მტერს ეომებოდნენ ეროვნობისა და დედა ენის დასა-

მოხერხდებოდა, ცხენებს აკიდებინა და გულდადად მთაში გაემგზავრა.

კნ. ბარბარემ ჯვარის წერის ამბავი რომ გადმომცა, ბევრი ვიცინე: საზოგადოდ იმ დროს ქალებს ძალიან ადრე ათხოვებდნენო და მეც ისეთი პატარა ვიყავ, ჯვარს რომ გვწერდნენ, თამაშობა მეგონაო. როდესაც მღვდელი ქორწინების წესს ასრულებდა, იმ დროს ეკკლესიაში ღამურა შემოფრინდა—დავინახე თუ არა ღამურა, მღვდელს ვუთხარი: მღვდელო, მღვდელო, შენიჭირიმე გაჩუმდი, მე მგონი ჩემი იადონი შემოფრენილა და მინდა დავიჭიროო“.

ვიდრე ლენქორანში ვიყავ, ვაკვირდებოდი იმის ცხოვრებას და სწორედ მაოცებდა მარბარეს დაუღალავი შრომა; სამოც წელიწადს გადასული ადამიანი ჭაბუკის ენერგიით იყო სავსე, მთელს დღეს მოძრაობაში და საქმეში ატარებდა, ისე რომ ნახევარ საათსაც უბრალოდ არ დაჰკარგავდა. როგორც ადგებოდა და ჩაიცვამდა (დილის შვიდ-რვა საათზედ ფეხზედ იყო ხოლმე) ილოცავდა, ჩაის გაათავებდა და მაშინვე სამზარეულოსკენ გასწევდა; სამზარეულოში რომ მოისაქმიანებდა ხოლმე, ბრუნდებოდა თავისს ოთახში. ქაღალდი, საწერელი და კალამი ტახტზედ ელაგა; ზედ მოიკეცავდა, ფრთის კალამს აიღებდა ხელში და მუხლზედ დადებულს ქაღალდზედ დაიწყებდა წერასა, თან სამზარეულოსაც თავისს ზრუნვას არ აკლებდა. სადილს შემდეგ უეჭველად უნდა ეკითხნა, ყოველ საღამოზედ, ვინც-კი ქართველები ვიყავით, ყველანი ბარბარესთან უნდა შევკრებილიყავით ხოლმე. ისიც ხან თავისს ახალს თხზულებას გვიკითხავდა, ხან რამე წაკითხულს გვიამბობდა და თავისის ცხოვრებიდგან საინტერესო ამბავს ან გაგონილს გადმოგვცემდა.

აწ განსვენებული ბარბარე საშინელი ცნობის მოყვარე ადამიანი იყო. თუ რაიმე საყურადღებო ლაპარაკს მოჰკრავდა ყურს, მაშინვე კალამსა და ქაღალდს აიღებდა და დაწვრილებით დასწერდა. როცა ლაპარაკი ჩამოვარდებოდა ხოლმე ქართველებსა და საქართველოს შესახებ, უნდა გენახათ, რა მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ლაპარაკში საშინლად აღელვებულს, თითქმის ნაპერწკლები სცვიოდა თვალებიდგან. მაშინ მე აღტაცებით ვუცქეროდი კნ. ბარბარეს და თანაც ვფიქრობდი, რა ბედნიერი იქნებოდა ჩვენი სამშობლო, რომ ჩვენ, ეხლანდელს ქალებს, ამისი მეასედი წრფელი სიყვარული გვქონოდა სამშობლოსიმეთქი.

რა მდგომარეობაშიაც უნდა ყოფილიყო, სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდებოდა. საცოდავს არ უყვარდა თათრების ქვეყანა და სულ იმას ნატრობდა, ღმერთო, ჩემი ძვლები აქ არ დამატოვებინოო; აკი ასრულდა კიდეც სურვილი ამ სამაგალითო ნამდვილის ქართველ ქალისა და თავისს საყვარელს სამშობლოში აღსრულდა.

მარიამ დემურია.

# ახალი ამბავი

—

*** დღეს სასამართლო დაწესებულებათა შენობაში იურიდიულ საზოგადოების მორიგი კრებაა დანიშნული, რომელსაც დაესწრება სენატორი კონი.

*** სასჯულო საქმეთა მინისტრი ნ. ვ. მურავიოვი, როგორც ამბობენ, რვამაისს ტფილისში ჩამოვა.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიაში წლიური ეგზამენები იწყება 3 მაისიდგან და დასრულდება 15 ივნისს.

*** კამერგერს ავსტრი-უნგრეთის ტახტისას, გრ. ზიჩს, გაზეთ ,,პარლამენტარის“ სიტყვით, კავკასიაში მოგზაურობა განუზრახავს, რისთვისაც შეუდგენია მეცნიერთა ექსპედიცია. აზრი მოგზაურობისა არის ის, რომ გამოიკვლიონ კავკასიის ტომთა შორის, რომელთა აქვთ ნათესაობა მადიარებთან. ექსპედიცია ნახევარს წელიწადს იმოქმედებს. ხარჯი რიცხვით 18,000 ფლორინი, რომელიც მოგზაურობის დროს მოუნდებათ, გრაფს თვით უკისრნია. («ნოვ. ობოზრ.»).

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ შემდეგი: ,,იმ ფონდის გასაძლიერებლად, რომელიც დანიშნულია ქართველ დედათა მომავალ სკოლის დასაარსებლად მივიღეთ 90 მანეთი კნ. გ. ი. შარვაშიძისაგან შეკრებილი სოხუმში გა'ართულ წარმოდგენაზედ, რისთვისაც გულითადს მადლობას უძღვნის მომავალ დედათა სასწავლებლის დამაარსებელ კომიტეტის თავმჯდომარე კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანისა. ამავე სკოლის სასარგებლოდ შემოვიდა 1000 მანეთი, რომელიც გარდაცვალებულმა ქვრივმა მ. ი. მიქელაძისამ უანდერძა.

*** როგორც გვითხრეს, ინჟენერი ვურცელი, რომელსაც მინდობილი აქვს ყარსის რკინის გზის გაკეთება, ამ გზას თურმე სრულიად განცალკევებულად აკეთებს ისე, რომ არავითარი ისეთი დამოკიდებულება არ ექმნება ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან, როგორც წინად ჰფიქრობდნენ.

*** დღეს, 30 აპრილს, ოლგას სახელობაზედ დაარსებულ ქალთა მეორე გიმნაზიაში წლიური აქტი იქმნება.

*** შემახა: აქეთკენ აგერ ორი თვეც არის ცუდი ამინდია, თითქმის ყოველ-დღე წვიმს; აღდგომის სწორზედ თოვლიც მოვიდა, რამაც ზოგიერთ გაშლილ ხეხილს ავნო. მოსავალს ძალიან კარგი პირი უჩანს.

აგერ ორი წელიწადია, რაც შემახას ტყის ერთ-ნაწილს (ცალკე მდებარეობს—100 დესეტინამდეა) დაეხვია ერთგვარი მავნე მწერი—პეპელა, რომელსაც ეძახიან Шелкопрядъ—Монахъ (Ocneria monacha). მთავრობისაგან იყო გადადებული 100 მან. ამ მწერის გასაწყვეტად, მაგრამ ამ ფულით ვერა გააწყეს-რა და თუ წრეულსაც დარჩა ეს მწერი, უეჭველია, ტყე სულ გახმება.

## კორესპონდენცია.

—

**სოფ. ქარელი.** როგორც ნამდვილად გავიგეთ, დიდად პატივცემულს და საზოგადოებისათვის გულ-შემატკივარს თავ. გ. ციციშვილს განუზრახავს ამ დღეებში სოფ. ქარელში კრება მოახდინოს საზოგადოებისაგან ჯამაგირით კერძო ექიმის მოწვევის შესახებ. ეს მოვლენა ჩვენში იშვიათი და თითქმის პირველი მოვლენაა. რამდენი ესალმება სოფელში უდროოდ წუთი-სოფელს, რადგანაც მოკლებულია წესიერს ექიმობასა და წამლობას. ქარელში, როგორც გამოღმა, ისე გაღმა დიდ-ძალი თავად-აზნაურობა სცხოვრობს და ერთი ექიმის მოწვევა მათთვის საძნელო არ იქნება, მით უმეტესს, რომ ახლა, როდესაც ქარელში ექიმი არ არის, გორიდგან ერთხელ მოწვევა უჯდებათ არა ნაკლებ 12—13 მანეთისა. აქაურ თავად-აზნაურობას კარგად აქვს შეგნებული, რომ ჯამაგირით თუ მოიწვიეს ექიმი, მაშინ წელიწადში უფრო ცოტაც დაეხარჯებათ საექიმოდ და ავადმყოფიც მალე მიიღებს ექიმისაგან შემწეობას. გლეხობას-კი რომ ჰკითხოთ, უმეტესი ნაწილი იმ შეხედულებისა არის, რომ, „თუ ავადმყოფს ძარღვი გაწყვეტილი აქვს, მაშინ ვერაფერი დოხტური ვერ მოარჩენს, თუ გინდ პეტერბურგიდგანაც რომ მოიყვანოთ“. მაშ, რა საჭიროა ექიმი ჩვენთვისო! ის, ვინც ცოტაოდნად მაინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის სოფლის ცხოვრებას, დამერწმუნება, რომ ამისთანა შეხედულება გლეხობის მიერ არ არის შედეგი სიჯიუტისა და გაუგებრობისა. როდის ჰქონდა ექიმთან საქმე გლეხს, რომ დარწმუნებულიყოს მედიცინის მნიშვნელობაში. ათასში ერთხელ თუ მიეცემა გლეხს შემთხვევა, რომ მიმართოს ექიმს, ეს კიდევ არაფერს არ ამტკიცებს. მე არა მგონია, თუ გლეხს რაიმე მოთხოვნილებაში ეხარჯებოდეს იმოდენი, რამდენიც ეხარჯება თავისებურ „წამლობაში“. ყველა მას ატყუებს: მკითხავი, დალაქი, მედუქნე, ცრუ ექიმები და რამდენი კიდევ სხვა, დიდი და პატარა. როდესაც სოფლად ექიმები იქნებიან, ყველა ამათთანა ზნეობით დაცემულ ვაჟბატონებს ლუკმა მოსტყდებათ და მაშინ დაინახავთ, რა პატივს სცემს სოფელი ექიმს, როგორ დააფასებს მისს შრომას.—

ვისურვებთ, რომ აქაურმა თავად-აზნაურობა ამ მხრივ მაგალითად გაუხდეს გლეხობას და განახორციელოს ის აზრი, რისთვისაც უნდა მოახდინოს კრება თავ. გ. ციციშვილმა. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ როდესაც გლეხობა ბეჯითად შეიგნებს მედიცინის მნიშვნელობას, მაშინ ისიც მხარს მისცემს თავად-აზნაურობას და მით შეუმსუბუქებს ექიმის გასასტუმრებელს ხარჯს. როგორ დაბოლოვდება ეს საქმე, ამას მალე ვაცნობებ „ივერიის“ მკითხველებს.

ქარელში ახლა გზის კეთება დაიწყეს: გზა უნდა გააკეთონ ქარელიდგან ზღუდრამდის და გორამდის. დიდი ხანი არ არის, რაც აქ მოვიდა თავ. კ. ერისთავი, რომელსაც მთავრობისაგან მონდობილი აქვს გზა გააკეთებინოს აქაურ სასოფლო საზოგადოებას. სწორედ ამ კაცის ენერგიას უნდა მივაწეროთ ის, რომ გზები ჯერ-ჯერობით მალე და კარგად კეთდება. ცოტა ამინდებმა შეგვიშალა ხელი, თორემ ამ მოკლე ხანში ტლაპოს და ორღო-ჩორღოს მაგიერად მშვენიერი გზა-ტკეცილი გვექნებოდა.

ს.

## გამოსალმება.

—

ქალავ, მაგ შენთა თვალთაგან
ცეცხლის ელვანი კრთებიან,
ტრფობის ისრებათ ნაქცევნი
გულ-მკერდში მელახვრებიან,
გულის გრძნობანი ზღვასავით
ღელავენ, მებნიდებიან,

---

მელიც ასე ხელს უშლის ნამდვილ მეცნიერების შესწავლას, ჯეროვანს გონებითს განვითარებას:

,,უნიჭო ოსტატს, ბერძნულს, ლათინურს,
ღმერთო მაშორე!. . . . . . . . .

ევედრება იგი ღმერთსა:

მოზარდ ქართველ ახალ თაობისათვის რაფაელმა სთარგმნა უმეტესი ნაწილი კრილოვის არაკებისა, „ოქროს თევზი“ პუშკინისა და გალექსა რამდენიმე არაკი სულხან საბა ორბელიანისა. მაგრამ სინიდისის ქვეშ უნდა ვსთქვათ, რომ რაფაელის მიერ გადმოკეთებულს იგავ არაკებში მრავალ-სიტყვაობაა როგორც სამართლიანად შენიშნა ბოსლეველმა გაზეთს „შრომაში“, თუ არ ვსცდებით 1882 წელს. მიუხედავად ამისა მის იგავ-არაკების შემწეობით ქართველი ახალთაობა სწავლობდა დედაენას მთელის თორმეტის წლის განმავლობაში. ბოლო დროს, ამ ორის-სამის წლის წინად ამ „იგავ-არაკებს“ თვისი გავლენა დაეკარგა აკაკის მიერ გადმოთარგმნილის შემდეგ. „არაკები კრილოვისა“ აკაკისა მაღლა სდგანან ყოველ მხრივ რაფაელის „იგავ-არაკებზედ“. მაგალითად, მოვიყვანოთ არაკი „ყვავი და მელა“.

რაფაელისა:

„ერთხელ ერთს ყვავსა,
შავ-ჭრელსა, ავსა,
(რომელიც არის წიწილის მტერი,)
სადღაც ეშოვნა ყველის ნაჭერი,
ნისკარტით მაგრად ჩასციებოდა,
იჯდა ხეზედა,
კენწეროზედა
და იქ საუზმეს ემზადებოდა
სულ 23 სიტყვაა.

აკაკისა:

„სადღაცა ყვავსა-ყვნაჩალას
ეშოვნა ყველის ნაჭერი,
ხეზედ შემოჯდა, საუზმეს
ემზადებოდა მშიერი“.
სულ 10 სიტყვაა.

რასაკვირველია, ამ ორს არაკში ბავშვი უფრო ადვილად დაისწავლის ზეპირად იმ არაკს, რომელშიაც უფრო ცოტა სიტყვებია ნახმარი ერთის რომლისამე აზრის გამოსახატავად. რაფაელის ოც-და სამი სიტყვით გამოხატული აზრი აკაკიმ ათის სიტყვით გამოხატა!

რაფაელს ძლიერ უხარის, როდესაც ხედავს ახალგაზდა ქართველს მწერალს. ის სწერს „ბაჩანას“:

„შენ ყმაწვილი ხარ მე—ბერი,
ღმერთმა გიკურთხოს ჩანგია!
მაწადე, მომეც ახალი,
ბერსა ახალი ჭანგია...

თვით ბაჩანა და მისნი ძმანი უნდა ჩაითვალონ რაფ. ერისთავის მოწაფეებად. რაფაელის ნაწერებმა შეაყვარეს იმათ ფშავ-ხევსურების ცხოვრება და მიუთითეს იმ დაულეველს წყაროზედ, იმ ძვირფასს მასალაზედ, რომელთაც ეს ცხოვრება უხვად აძლევს პოეტის ნიჭს, დაკვირვებას და აღმაფრენას. ეს აზრი შეიძლება დავამტკიცოთ იმ ლექსით, რომელიც ბაჩანამ უძღვნა რაფაელს:

„შენი ჭირიმე, მოხუცო,
ია გესროლე, მამაო!
მიღმი ვით გამომაღვიძა
შენმა ფანდურის ხმამაო:
შავრთო გრძნობის მორევსა,
ჩემი გულიც აიჩქამაო,
ნება მიეცი დაგდაფნოს
გამოუცდელმა ყმამაო...“ (გვ. 251)

ქართველი მოყვარულია უცხო ერისა, რაიც მან დაამტკიცა თვისის ხანგრძლივის ისტორიულის ცხოვრებით. ქართველები არ აიწროებდნენ მათს სამშობლოში გადმოსახლებულს ურიებს, სომხებს, ბერძნებს, ოსებს და სხვა ხალხს ენისა და სჯულის მხრივ. ქართველები სხვა დანარჩენ ერებს, ისინი რაც უნდა ველურს მდგომარეობაში ყოფილიყვნენ, არ სთვლიდნენ „ბარბაროსებად“ და „მხეცებად“, როგორც ამას სჩადიოდნენ მედიდური ბერძნები... სიყვარული უცხო ერებისა აწინდელს ქართველს მემკვიდრეობით გარდმოეცა წინაპართაგან. რუსთ-ოსმალოს უკანასკნელის ომის დროს რაფაელი ურჩევს ქართველებს თანაუგრძნონ და მიეშველონ სერბებს, რომელნიც თათრებს ეომებოდნენ თავისუფლების მოსაპოვებლად:

„....სერბნი იბრძვიან, შავმთელნიც
მამაცურადა.
ჩვენი ძმებია, ქრისტესიც, მათ მოვეხმაროთ ძმურადა!
შევსწიროთ სისხლი, მალამო, ფული
თანც თითო დინარი,
გავლესოთ, ძმებო, ხანჯლები, გადავარჩინოთ მგმინარი.
მოუსპოთ ტანჯვა-ვაება და სისხლი მჩქეფრად მდინარი,
აღმოვფხვრათ ქრისტეს ორგული....“
(გვ. 102).

ქართველი თუ იბრძოდა და ღვრიდა სისხლს, იბრძოდა ან შემოსეულ მტრის წინააღმდეგ და ან სხვა დაჩაგრულ ერთა გასათავისუფლებლად; თავის-თავად-კი ქართველი მშვიდობის მოყვარულია, სძაგს მას სისხლის ღვრა და არ იკადრებს სხვა ერის თავისუფლების შეზღუდვასა და დაჩაგვრას: მას იმ თავითვე ცხოვრების დროშაზედ უწერია შემდეგი სიტყვები ილია ჭავჭავაძისა:

„სიკვდილით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევასა,
არა, არ ვუქებ კაც-კაცსა
კაცთა მუსვრასა და ომსა!“....

რაფაელმაც მშვენივრად გამოხატა ქართველის ხალხის მშვიდობის მოყვარეობა:

„ბედნიერება მოძმისთვის არ მშურს,
ომი არ მიყვარს, სისხლი არა მწყურს,(?)
მიყვარს სიცოცხლე მშვიდი და მდორე,
ხმალსა, ზარბაზანს, თოფს და დინამიტს,
ღმერთო, მაშორე, ღმერთო, მაშორე!“

უნდა საზოგადოდ შევნიშნოთ, რომ რაფაელის ლექსებში არა თუ მარტო გრძნობის ამაღელვებელი, ლამაზად შეკონილი სიტყვები და ფრაზებია, არამედ ისეთი აზრებიცაა, რომელნიც მკითხველს ღრმად დააფიქრებენ და მისს ჭკუა-გონებას საზრდოს მისცემენ... რაფაელი თვისის ლექსებით ,,ხალხის მოძმეა ჭმუნვასა და სიხარულში“ და ამისათვის ავიმოძღვრებს:

„კაცი ის არის, ვინც მამულს
გამოადგება შვილადა,
ვისაც სამშობლო ტაძრად აქვს
თავი—სამსხვერპლო წილადა,
ქვრივისა ცრემლი ჭირად უჩნს,
მისი ღიმილი ლხინადა;
ვინც მისთვის თავსა შესწირავს,
მას შემოვკლებს ფთილადა!“ (გვ. 237).

ინ-ფარი.

სული და ფიქრი ხარობენ,
ზეცამდე ნეტარდებიან
და შენს თვალებსა ციურსა
ოცნებით ეწაფებიან!
ვაჰმე, ეგ შენი თვალები
ბორკილად დამედებიან:
არ გამიშვებენ საომრად
იქ, სადაც გმირნი კვდებიან,
არც მამყოფებენ იქ, სადაც
ღამენიც დღეთა ხდებიან,
სადაც ბრძენთაგან უკვდავნი
საქმენი იბადებიან;
მანამ შენ გნახავ, ლამაზო,
მზის სხივნიც დაბნელდებიან,
მთელი ქვეყნისა ტანჯვანი
გულ-მკერდზედ დამაწვებიან
და ჩემი მწუხარებანი
ზეცამდე აზღვავდებიან.
მაშ, გევედრები დამეხსენ,
მეხრენი მელოდებიან,
ნუ მწვავ და მხიბლავ თვალებით,
მოვცდები, გამიწყრებიან,
კვალს გადაუხვევს გუთანი,
ხარები დამიდგებიან,
ჩემს დაკვალულსა ყამირში
შამბნარნი ალაღდებიან.
ქვეყანა დამგმობს, გამკიცხავს,
დუშმნები გალოცხლდებიან,
ვინღა გამიწევს უღელსა,
მომხრენიც გამიდგებიან,
შენ მეუღლობას ვერ მიზამ,
ფარჩანი გაგესვრებიან,
შენ ყოველ-ჟამსა საამო
შვებანი მოგწყურდებიან,
მე-კი ტანჯვისთვის შობილსა
ლხინი არ მომიხდებიან.
როგორც ბუზი და ფუტკარი
ძმებათ ვერ შეიყრებიან,
ჩვენი აზრი და ბუნებაც
ერთად ვერ შეთვისდებიან,
აგიმდუღრდება გულ-მკერდი,
ცრემლები გადმოგსკდებიან,
მეც შენის სიყვარულისთვის
რაც მიყვარს—შემძაგდებიან,
მაღალი ჩემი გრძნობანი
მიწამდე დამდაბლდებიან,
დედის ნაწოვნი ძუძუნიც
შხამ-გესლად გადმექცევიან,
ბოლმით გულ-ლახვარ-სობილსა
თავს ლაფნიც დამესხმებიან—
და მაშინ შენი თვალები
სამარედ გამიხდებიან!..
მშვიდობით! და ნუ დამწყევლი,
ნურც ცრემლნი დაგედვრებიან,
თორე მე შენი ტანჯვანი
გულს ცეცხლად მომედებიან,
იმ ცეცხლით ჩემი ძვლებიც-კი
ნავლივით დაფერფლდებიან
და ჩემს სულს ცა და ქვეყანა
გენიად შეექმნებიან.
ხოლო თუ ჩემსა ნახნავში
ნათესნი აჰყვავდებიან
და ჩემის ტანჯვით ნაღვაწნი
ძმათ წამლად დაედებიან—
ჩემი ფერფლნიც-კი მოლხენით
საფლავში აითოლდებიან,
და სულსა ჩემსა ტანჯულსა
ნათელნი დაადგებიან;
მაგრამ მე იგი ნათელნიც
წამებად შემექმნებიან,
როცა-კი შენი თვალები
თვალებ-წინ დამიდგებიან!..

დ. მაჩხანელი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ინგლისის ჟურნალ-გაზეთები ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ:

დიდად ჩასაფიქრებლია, თუ რა სარგებლობას მოუტანს ჩინეთ-იაპონიის ხელ-შეკრულობა ევროპის ვაჭრობას, ის ხელ-შეკრულობა, რომელსაც აზრად ორი საქმე აქვს:—მრეწველობის აღორძინება და უცხოეთის ხომალდების ჩინეთის წყლებზედ გაშვება. აქამომდე ჩინეთი ნებას არ აძლევდა უცხოელებს მანქანები შეეტანათ და მის მიწა წყალზედ ქარხნები გაემართათ. დღეს-კი იაპონიამ აიძულა ჩინეთი უცხოელთათვის გზების გაეხსნა. მაგრამ მომავალში-კი ბომბეი და მენჩესტერი გულ-გრილად ვერ შეხედვენ ამ საქმეს.

ხელ-შეკრულობას აზრადა აქვს იანტძეგიანის ხეობაში ბამბის მრავალი ქარხნები დააარსოს. და ეს ხომ ხელს შეუშლის დასავლეთის ვაჭრობას. შეიძლება მარტო ბამბის ძვირფასი და ნაზი მატერია ისყიდებოდეს, მაგრამ იაპონიას ჰსურს, ამ მხრითაც მეტოქეობა გაუწიოს ევროპასა. მი სისახელმწიფო კაცები ახლავე ადგენენ სხვა-და-სხვა პროექტს ამერიკისა და ეგვიპტის ბამბის შესყიდვის შესახებ. ამგვარად ერთი მუხლი მათის გეგმისა—აზია აზიელებისთვისაო ლამის განხორციელდეს.

საფრანგეთისა და გერმანიის ზოგიერთი გაზეთები ამ ჟამად მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რამდენად სამართლიანი იყო მთავრობის განკარგულებანი იმის გამო, რომ გერმანიისა და საფრანგეთის სამხედრო ხომალდებმა ერთად იბრძოლონო. გაზეთი „Gaulois“-ი მთავრობას უსაყვედურებს, რადგანაც საფრანგეთის მეზღვაურნი ისეთს არა-სასურველს მდგომარეობაში ჩააყენა, რომ თუ ვინიცობაა ომი ასტყდებოდა, გერმანელებთან ერთად უნდა ეომნათ. ეს გაზეთი საშინელის ეჭვის თვალით უყურებს სხვა გაზეთების აზრს, იმ გაზეთებისას, რომლებიც ამბობდნენ, რომ დიდი მნიშვნელობა ექმნება ვაჭრობისათვის, იაპონიამ რომ ჩინეთის მიწა-წყალის ნაწილი დაიჭიროსო. ორი კონსერვატიული გაზეთი „Soliel“ და „Autorité“ ამბობს:

საფრანგეთის სავაჭრო ინტერესები არაფერს დაჰკარგავდა, ჩინეთ-იაპონიის საქმეში რომ არ ჩარეულიყო, პირ-იქით მოგებაშიც-კი იქნებოდა, რადგანაც გერმანიასთან ერთად არ მოუხდებოდა მოქმედება. შეიძლება მთავრობას არც კი უფიქრნია ამის გამო. ვინ იტყვის, რომ სწორედ ისე მოეწყობოდა საქმე, რომ გერმანიის ხომალდები მხარს დაუჭერდნენ საფრანგეთისას... ოხ, რა დიდი დამცირება უნდა აიტანონ ჩვენმა მეზღვაურებმაო,—დასძენს გაზეთი «Gaulois»-ი.

## უცხოეთი

ვენა, 28 აპრილს. ლონდონიდგან გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ეს ატყობინებენ საგანგებო დეპეშით, რომ ევროპიელ სახელმწიფოთა ჩარევა სომეხთა საქმეშიაუცილებელიაო. «Daily News»-ი ამბობს, რომ ინგლისმა უნდა გამოიწვიოს რუსეთი, საფრანგეთი და მათთან ერთად იმოქმედოს სომეხთა საქმის სასარგებლოდ ოსმალეთშიო. თუ საჭიროება მოითხოვს, საფრანგეთისა და რუსეთის ელჩები გაწვეულ უნდა იქმნენ ოსმალეთიდგან და თუ, განაგრძობს ზემოდ-აღნიშნული გაზეთი, რუსეთი და საფრანგეთი არ დასთანხმდნენ ამაზედ, მაშინ ინგლისმა მარტომ უნდა იმოქმედოს ამ საქმეშიო.

გერმანია. ჩრდილოეთის არხის გახსნის დღესასწაულზედ ჯერ-ჯერობით თორმეტს სახელმწიფოს განუზრახავს დაესწრონ. ეს სახელმწიფონი ჰგზავნიან კილში 52 ხომალდს 811 აფიცრით და 16,468 ჯარის კაცით.

საფრანგეთი. ამ დღეებში პარისში შესდგა პატრიოტთა კრება კასტელანის თავმჯდომარეობით. კრებამ უთანხმოება გამოუცხადა მთავრობას კილში ხომალდების გაგზავნისა

## თეატრის მატიანე.

ბოიარსკის ქალის ბენეფისი.

სამართლიანი იყო ჩემი შენიშვნა ამ არტისტ ქალზედ. გუშინ კიდევ უფრო ნათლად დაგვიმტკიცა თავისის თამაშით, თუ რა დიდის ნიჭის პატრონი ყოფილა.

დასი თამაშობდა სტარიცკის ერთ-ერთს უკეთესს პიესას „ტალან“. შინაარსი პიესისა აღებულია მსახიობთა ცხოვრებიდგან. ვინც ამ უკანასკნელთ ცხოვრებას დაჰკვირვებია სცენაზედ და კულისებში,—მაშინვე მიხვდებოდა, თუ როგორის სინამდვილით და ცოცხლად გამოუხატავს ავტორს ზოგიერთს სცენებში ამათი ცხოვრება! ანტრეპრენიორის გოდება, მსახიობთა ერთმანეთში ქიშპობა, რეჟისსორის ფაცა-ფუცი, რეცენზენტები, რომელნიც ფულსაც თხოულობენ ქებისათვის და სიყვარულსაც, მაყვირალ პატივისმცემელთა ხროვა, ხორები, გაუტანლობა—ყველაფერი ეს ისე ნათლად არის გამოხატული, თითქოს ნამდვილ ცხოვრებიდგან იყოსო!

აი, ამგვარს საზოგადოებაში ჩავარდება მგრძნობიერი, ნაზი, დიდის ნაჭის პატრონი და თან დიდად მოსიყვარულე მშობლიურ თეატრისა ყმაწვილი ქალი ლუჩიცკა, რომლის როლსაც თამაშობდა ბოიარსკის ქალი!

ამ ქალს უყვარს ისეთი ბატონი, რომელიც თითქოს ამის დასაღუპავად გაჩენილიყოს ქვეყანაზედ! ეს უხასიათო, მდიდარი ბატონი მიატოვებს ამ ქალის ირშიყობას და ტრფიალებას: ლუჩიცკაც, დიდის ვაებისა და მწუხარების შემდეგ, გადასწყვეტს თავისი თავი შესწიროს მშობლიურ თეატრის სამსახურს. აქ იმას აუხირდებიან ყველა მსახიობნი ქალები, იმიტომ რომ დიდის ნიჭის პატრონია და დიდი სახელიც გაითქვა — წინანდელი მისი მოტრფიალე ვაჟბატონი ხელ ახლავ გამოჩნდა! ის ახლა არწმუნებს ამ ქალს, რომ ოღონდ გამომყევ და მთელს ჩემს სიცოცხლეს შენ შემოგწირავო... ბევრის ყოყმანის შემდეგ ქალი გაჰყვება... აი აქ იწყება ამის უბედურებაც; ეს კაცი, რასაკვირველია, ჯვარს არ იწერს... როგორ შეიძლება, რომ საზოგადო აზრს ეწინააღმდეგოს და მსახიობი შეირთოს!.. ცოტა ხნის შემდეგ მოსწყინდება კიდეც ამ ქალთან ცხოვრება... და ნელ-ნელა დაუწყებს შეურაცხყოფას... ბოლოს საქმე იქამდის მიაღწევს, რომ ერთად ცხოვრება შეუძლებელია და ლუჩიცკა ისევ უბრუნდება თავისს საყვარელს სცენას, მაგრამ ბრუნდება გულ-გატეხილი, სევდა მოცული ვეღარ ითმენს ამდენს ვაი-ვარამს და დაპლექებული კვდება სწორედ იმ დღეს, რა დღესაც იმისი დღეობაა და ყოველის მხრიდამ მოსდის დაფნის გვირგვინები, ადრესები, საჩუქრები—ის ნელა ლევს სულს და ამ სულის დალევაში, კიდევ იმედს არ ჰკარგავს, როგორც ყველა ჰლექიანები, რომ კიდევ დიდხანს ემსახურება თავის საყვარელ სამშობლო თეატრს!...

სავსე თეატრის დარბაზი სულ განაბვით ისმენდა არტისტ ქალის საოცარ გრძნობით აღსავსე თამაშს; სიხარულს, მწუხარებას, სასო-წარკვეთილებას ისე ძლიერად და ნამდვილად გვიხატავდა—რომ საზოგადოებაც სწორედ იმასვე ჰგრძნობდა, რასაც მსახიობი. ჩვენც მივდევდით იმის მწუხარებას—გვახარებდა არტისტის სიხარული! როდესაც ამგვარს ზედ-გავლენას იქონიებს არტისტი მაყურებლებზედ—მაშინ იგი ზეცისაგან დაჯილდოებული ნიჭით აღსავსე არის!

კ. მესხი.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

29 აპრილი.

პეტერბურგი. ბარონი როზენი, რომელიც მექსიკაში იყო რუსეთის დესპანად იმავე თანამდებობაზე სერბიის მეფესთან იქმნა დანიშნული.

ბერლინი. პარლამენტმა არ შეიწყნარა მთავრობის კანონ-პროექტი სახელმწიფოს მოწინააღმდეგეთა შესახებ და არც რაიმე ცვლილება მოახდინა ამ კანონში.

კილში მოვიდა რუსეთის სამხედრო ხომალდი „გენერალ-ადმირალი“.

ვენა, 28 აპრილი. რუსეთის ელჩისა და სხვა რუსების თაანადაწრებით აკურთხეს მართლმადიდებელთა სამლოცველო.

ავსტრიასა და ბოლგარიას შუა მომხდარი სავაჭრო ხელ-შეკრულობა უკვე დაამტკიცეს.

ბელგრადი. მობრძანდა დედოფალი ნატალია, რომელსაც დიდის აღტაცებით მიეგება მეფე და ხილხი. დაუხვდნენ აგრეთვე მინისტრები, სახელმწიფო საბჭოს წევრნი, გენერლობა და დეპუტაცია. საღამოთი ქალაქი განათებული იყო.


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სტროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერისა ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის სა-
მართველთა და ქართველთა წიგნების გამომცემელ
ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში,

საქართველოს ისტორია

შედგენილი და შევსებული
მოსე ჯანაშვილის მიერ.
მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა
ფასი 70 კაპ.

ქირურგიული სამკურნალო
„ჰ ნ ი“
მოსკოვში.

სამკურნალოს კიდევ მიემატა ორი ახლად გაკეთებული პავილიონი.

მიიღებიან როგორც მოზრდილნი ისე ბავშვები ქირურგიულისა და შარდით ავადმყოფნი. საავადმყოფოში ყოფნაში და წამლობაში თვიურად ერთმევად 60-დგან 300 მან. ავადმყოფთ, უფრო-კი ბავშვებს, შეიძლება თან ჰყავდეთ მშობლები, ან ნათესავები. სამკურნალოსა ჰყავს თავისი საკუთარი მრჩეველი ექიმები.

პატრონი და დირექტორი ექიმი პ. ი. მოდლინსკი. ორდინკა, მ. კადაშევის მოსახვევი, საკუთარი სახლი. (10—3—2.)

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებულ-და დაავადებულია ონანიზმითა და თავ აშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

36—1—3


Дозволено цензурою, Тифлисъ 29-го Апрѣля 1895 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე